პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 136
(7447)

16 ივლისი, შაბათი.

1983 წ.

ფასი 3 კაპ.

აძარულების სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი ლ. ბეცუხიანი ტელეფონით გვაცნობებინებს:

დღეს ფინალებია

მოსკოვის ოლიმპიურ არხ კრილატსკოეში მიმდინარეობს სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის შეჯიბრება აკადემიურ ნიჩბოსნობაში. მასში 800-ზე მეტი ნიჩბოსანი მონაწილეობს, მათ შორის 13 მსოფლიო ჩემპიონია და 13 სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ჩვენი რესპუბლიკის ნიჩბოსნებმა კარგად ილიეს ტარტი. წარმატებით იასპარეზეს ჭალთა მესაზღვრეები (სპორტის ოსტატები ი. უფიმცევი, ფ. ბიაშვილი, ლ. გულიანი, ფ. გულაშელი, მესაზ. ლ. ყორატიშვილი). 1000-მეტრიან დისტანციაზე წინასწარ გაეცურავნი ჩვენი ეკიპაჟი ფინალზე მეორე იყო ლატვიელთა შემდეგ. ჩვენმა გოგონებმა მოიპოვეს ფინალში მონაწილეობის უფლება (სულ ვიბრძოდით 4 ნავი). სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ გამარჯვებას აქ მოიპოვებს საკავშირო ნაკრების კვარტეტი.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ო. მიზკიჟირიშვილი ასპარეზობდა ორმაგ ნავში — ეგი მესაზ ეიო ერთადგილიანი ნავით გაცურავდა. მედლებისთვის მთავარი ბრძოლა ამ სახეობაში, როგორც ჩანს, ე. ბრატიშკოს (ბელორუსია), რ. პალმა (ესტონეთი) და ი. ფედოსეიას (ლენინგრადი) შორის წარიმართება.

გუშინ, მოსკოვში, კრილატსკოეს ოლიმპიურ სანიჩბოსნო არხზე გაიმართა ნახევარფინალები აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა, 2 კმ-ზე მესაზღვრეები ორადგილიანი ნავით მოასპარეზეს ვოენმოლ მიჭაურძემ, გიორგი სირბილაძემ და მესაზ. ყაბა ბოგვერაძემ კარგად იასპარეზეს და დიდ ფინალში გამოსულის უფლებაც მოიპოვეს. ასევე ფინალში გასულის უფლება მოიპოვა უმცროსო ორადგილიანი ნავის ეკიპაჟმა ვადიმ ვასილიევისა და ლავრენტი რამაზაშვილის შემადგენლობით.

დასანანია, რომ მესაზღვრეთა ოთხადგილიანი ეკიპაჟის წევრები გელი კირაკოშვილი, ანატოლ აკიაური, ფრიდონ ბირკაია, გრიგოლ ერმოლენკო და მესაზ. თემურ ბაანდრაშვილი დიდ ფინალში ვერ გადიდნენ. მათ თავიანთ კატეგორიაში III ადგილზე გასული რსფსრ-ს გუნდთან 0,04 წამი წააგეს.

მცირე ფინალში მონაწილეობას მიიღებენ ქალებიც: ერთადგილიანი ნავით ოლეკა მიზკიჟირიშვილი; ვაჟებიდან: მესაზ ეიოს ორ ნავადგილიანთ ეკიპაჟები.

დღეს კრილატსკოეში დასკვნითი ასპარეზობაა — გაიმართება ფინალები და გაიმარჯვებულთა დაჯილდოება.

პარტიის გადაწყვეტილებები — ცხოვრებაში!

ყურადღება: საქმე ეხება ადამიანთა ჯანმრთელობას!

ადამიანის კეთილდღეობასთვის ზრუნვა ყოველთვის იყო ჩვენი პარტიის და მთავრობის ყურადღების ცენტრში. ამის დასტურია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი, რომელმაც პარტიის დღეოლანგური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები განიხილა.

„ახალი ადამიანის ჩამოყალიბება კომუნისტური მშენებლობის არა მარტო უმნიშვნელოვანესი მიზანი, არამედ აუცილებელი პირობაც არის“ — აღნიშნა პლენუმზე. ახალი ადამიანის ფორმირებაში კი ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს ფიზკულტურა და სპორტი წარმოადგენს, რადგან ჯანსაღი, კუნთმაგარი და გამოწრთობილი ადამიანების გარეშე წარმოუდგენელია იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრა, რასაც კომუნისტის მშენებლობა თვალისწინებს.

ადამიანთა ჯანმრთელობა, შემართება და განწყობა მარტო მედიცინაზე როდი დამოკიდებული. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ეხება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ფიზკულტურ მომზადების დონის ამაღლებას. ვის ცხოვრებაშიც მტკიცედ დამკვიდრდა ფიზკულტურა, ისინი ძალზე იშვიათად ავადმყოფობენ და მაღალ შრომით აქტივობასაც დიდხანს ინარჩუნებენ. ამიტომ არის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წოდებრივი და ულრადებას რომ უთმობენ შრომელთა ფიზკულტურულ საქმიანობას და ტურიზმში ფართოდ ჩაბმას. სამწუხაროდ, ყველგან როდი ზრუნავენ ადამიანთა ფიზიკურ წრთობაზე. ამის დასტურია ის მრავალრიცხოვანი წერილები, რომლებიც ჩვენს ფოსტას მოაქვს.

მოდით... ცხოვრება სათარეშოდ?

თეთრწყაროს რაიონის სოფელ ორბეთიდან ვალენტინ მარკელოვი გვწერდა, რომ ერთადერთი გასართობი სოფელში ფეხბურთის მოყვანია და სამწუხაროა მეურნეობის ხელმძღვანელობა მასაც სამოსახლოდ აძევებს შრომელებსო. ჩვენ ვეშველეთ თეთრწყაროს რაიონს, კომკავშირის რაიკომის, რაიონის სპორტკომიტეტისა და „ლოქომოტივის“ რაიონაშოს წარმომადგენლებთან ერთად დავთვალიერეთ ფეხბურთის მოედანი.

ჭანჭმოდებული რკინის ძელები რომ არა, ამ მინდორს ჩვეულებრივი საძოვრისაგან ალბათ ვერაფრით განვარჩევდით. შუხლამდე ბალახით დაფარულ მოედანზე შვიდიდან ოცამდენიმე ჩლექსონები. ცხადი იყო, რომ მოედნის ბედი არავის ანიშურებია — არც მეურნეობის ხელმძღვანელობას, არც რაიონის სპორტის მესვეურთ და არც თვით სოფლის ახალგაზრდებს.

შემოწმების შედეგად ირკვა, რომ ორბეთის მერჩეულების საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ჯ. ჯაფიაური), სადაც 500-მდე მეშრომოსამსახურეა, ფიზკულტურული ორგანიზაცია მხოლოდ ფორმალურად არსებობს, რადგან გასულ წლებში მეურნეობის ფიზკულტურულებში იშვიათად თუ მონაწილეობდნენ რაიონულ პირველობებში, ბოლო ორი წლის მანძილზე კი საერთოდ არ გამოჩენილან (შარშან რაიონის თასის გათამაშებაში ერთადერთ შეხვედრა ჩატარეს ეჭვიანობის გამო). რაც შეეხება შედასაკლექტივო პირველობებს, სქ(ვიების შოშაბას, თანრიგისნებისა და შთ-ის ნიშნოსნების მოშაზღუას, ამაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ფიზკულტურის ყოფილ შეთვალყურე თ. მნათობაძე მთლად საქმითაა არჩიის რიგებში გაუწევიათ და მეურნეობის შუშა-მოსამსახურეები უმეთოდოლტოდ დარჩენილან (თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მეთოდისტის ხელი მაინც არც მანამდენ უგრძნობათ). მეურნეობაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისთვის არც პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მიუქცევიათ ყურადღება და საველალო ფაქტიც სახეზეა. შემპურფოთებულია ისიც, რომ აუთვისებელია არა მარტო ადგილობრივი ბეტონტების სახსრები, რომლებიც გამოყოფილია ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისთვის და სპორტული ინვენტარისთვის, არამედ შრომელთა კულტმაუსახურივი ღონისძიებებისთვის განკუთვნილი თანხებიც. ეს, ბუნებრივ რომ ვთქვათ, აღვილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების უყურადღებობის ბრალია.

ძნელი სათქმელია თუ როგორ წარმართავენ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ორბეთელები, რადგან მათ კულტურის სახლი და კლუბი კი არა, სკოლაც არ გააჩნიათ. ჩვენ ვნახეთ ჩვარტემპით შენებული საშუალო სკოლის შენობა, რომელიც, როგორც შენებლები ამხობენ, პირველ სექტემბრისთვის უნდა ჩაბედეს მწყობრში. არ ვიცით შენებლები მტკიცედ დაიჯერეს თუ არა თავიანთ სიტყვას, ვგვა, რომ სკოლის სპორტდარბაზისთვის, რომლის ზომებიც არასტანდარტულია, ცოტა სარქმე-სიგანე რომ წემოტებინებიან, უკეთესი იქნებოდა.

ახლა იმას ვეკი ჩვენი კორესპონდენტის ვ. მარკელოვის წერილს მიეუბრუნდეთ. როცა მოედანს ვათვალიერებდით, მეურნეობის მთავარმა აგრონომმა ნოდარ ალთუნაშვილმა აგვიხსნა, რომ ეს ტერიტორია ადრე მართლაც გადაიყრიდა სამოსახლოდ, მაგრამ მან შემდეგ, რაც აქ ფეხბურთის მოედანი გაკეთებულა, მეურნეობის დირექციის თხოვნით სპორტულ სარბაზელად გადაქცეულა და ახლა აგროთაორი სადრობე არ ემუქრებაო.

ეს ყველაფერი კი პატოსანია, მაგრამ თუ არ გათბება და არ შემოღობა, სპორტული სარბაზელად არ გამოდგება.

(დასაბოლოებლად 3-ე გვ.)

ჩვენი გამოსვლის ქვედითობა

სიყვარბისათვის — სასჯელი

რედაქციას უპასუხებს საქართველოს ალკ თბილისის პირველი მაისის რაიკომის მდივანი ი. მამაგიშვილი:

საქართველოს ალკ თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველ განხილვა გაზეთ „ლელოში“ 1983 წლის 28 იანვარს გამოქვეყნებული წერილი „ტყავის ბორთა-83“, სადაც ალნიშნული იყო უმცროსი ასაკის ფეხბურთელთა ტურნირზე ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული სიყალბისა და თვალსაზრისის ფაქტები. ამასთან დაკვირვებით ჩატარდა კომკავშირის რაიონული კომიტეტის ბიუროს გადატანილი ბიუროს სხდომა, სადაც მკაცრად ამსჯელეს ამ უმსგავსი, დაუშვებელი დარღვევების შესახებ.

რაიკომის ბიუროს მიიღო დადგენილება: რაიხაზების აღმასკომის წინაშე დაისჯას საკითხის საკმაოდ ლეგალური ვარიანტით, ანუ ფეხბურთის ნაკრები გუნდის ხელმძღვანელი ნ. ჯაფარიძე გაათავისუფლონ სამუშაო ადგილიდან, ხოლო ნ. ჯაფარიძის მოადგილე ნ. ბერიძე გააფრთხილონ.

ამ ფაქტის გამო ჩვენ ვესაუბრეთ ქ. თბილისის პირველი მაისის რაიკომის მდივანს ი. მამაგიშვილს.

— ამხანაგო მამაგიშვილო, ჩვენ ვიცით, რომ ტურნირის ჩატარების ადგილების მიხედვით მოზარდებთან ოფიციალურად მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების, „ტყავის ბორთა-83“ საქართველოს დონეზე ჩატარების საკითხების განხილვის შემდეგ, რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ს. რამბიშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური;

— „ტყავის ბორთა-83“ მოსამზადებელ და ძირითად ეტაპებზე საერთო ხელმძღვანელობის საკითხებში სერიოზული შეცდომების თვის სასჯელი დაედო, ამერიგად, რაკომის მდივანს ი. მამეიშვილს.

რაიკომის ბიუროს დასახმა ღონისძიებათა კომპლექსური სისტემა, რომელიც საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის შემდეგ გაუჯანსაღებას ითვალისწინებს.

შეიძლება და ბიუროს უახლოეს სხდომაზე განხილება „ტყავის ბორთა-84“ მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა.

„ტყავის ბორთა-83“ რაიონული გამოპასების სეირნობა ხარვეზებით ჩატარებისთვის რაკომის ბიუროს წევრს, რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს ს. რამბიშვილს გამოუცხადა სასტიკი საყვედური;

„ტყავის ბორთა-83“ მოსამზადებელ და ძირითად ეტაპებზე საერთო ხელმძღვანელობის საკითხებში სერიოზული შეცდომების ნებართვა მისცა, ამერიგად, რაკომის მდივანს ი. მამეიშვილს.

რაიკომის ბიუროს დასახა ღონისძიებათა კომპლექსური სისტემა, რომელიც საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის შემდეგ გაუჯანსაღებას ითვალისწინებს.

შეიძლება და ბიუროს უახლოეს სხდომაზე განხილება „ტყავის ბორთა-84“ მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა.

სპორტული სპორტი

ორიონში, სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე გამართა პლაზრისტთა შეჯიბრება. ვაჟთა შორის ჩქარისწილ ფრენაში 250-კილომეტრიანი სამკუთხედი გაიმარჯვა ფ. შიგიხმოვმა (ასპარეზობდა პირად ჩათლაში). მეორე ადგილზე ლიტველი ვ. საბეკასონი, მესამეზე — შორეული ლ. ვასკოვი. ქალბა შორის (ჩქარისწილი ფრენა 221-კილომეტრიან სამკუთხედით) პირველი სამეული ასე განაწილდა: ვ. კუზნეცოვა (რუსეთის ფედერაცია), ი. პაპლაუსკაიტე (ლტვა), დ. ვილნე (ლატვია).

პარტიის გადაწყვეტილებებს — ცხოვრებაში

ყურადღება: საქმე ეხება ადამიანთა ჯანმრთელობას!

დასასრული

აქვე წერილს ავტორი საუბრობს ახალგაზრდობის სოფლიდან მიგრაციაზე. ცხადია, თუ სოფელში არ გაჩალდება კულტმასობრივი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, ასეთი სოფლიდან ახალგაზრდობა ქალაქში გაიქცევა, მაგრამ განა მარტო ეს იწვევს მიგრაციას? რესპუბლიკის მრავალ სოფელსა და რაიონში მეყოფლეანთ, დაგეთვალიერებია მწვანილი ბაზები, რომელთა გარკვეული ნაწილი თითქმის სათიბებიდან ქრება. რატომ? ჯერ ერთი, სოფლად ფიზკულტურის ორგანიზატორთა უნიათობის, მეორეც, თვით ახალგაზრდობის პასიურობის გამო. ბევრისგან გაგვიგონია ბიჭთაგან დერმის როგორ დავკარგავო. ამა, დავაკვირდეთ, ცოტა გვინახავს, სოფლად თუ ქალაქად, სრულიად ახალგაზრდა ქალი ან კაცი „ცხინვალ ტყეეფანში" მოქცეული, სუნთქავდა რომ უცირო? განა ასეთ ადამიანებს შეუძლიათ სერიოზული ამოცანების გადაწყვეტა? შეიძლება იყოს მათი შრომისმოყვარეობაც მაღალი? რაც მთავარია, რატომღაც გვავიწყდება, რომ ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა? ჩვენივე სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის სხვისი დარიგება რად უნდა გვჭირდებოდეს?

გულგრილობას უნდოლობა მოსდევს

ახალგაზრდებს სპორტული ბაზების მოწყობა უფრო სხვისი ხელით სურთ, თვითონ კი მაყურებლის როლში ურჩევნიათ გამოსვლა. თუმცა ხშირად პირიქითაც ხდება: ჰაბუკები და გოგონები მზად არიან საკუთარი წვლილი შეიტანონ სპორტული ბაზების მოწყობაში, მაგრამ უფროსები არ ეზმარებიან, მხარს არ უჭერენ მათ. სწორედ ამაზე ჩიეიან **მცხეთის რაიონის სოფელ ლისის** ახალგაზრდები: „ჩვენს სოფელში არავითარი სპორტული ბაზა არ არის, ამიტომ სპორტის მოყვარული ახალგაზრდები თბილისში დადიოდართ. შარშან 2 ოქტომბერს საზეიმო შეხვედრა მოვაწყეთ გამოჩენილ სპორტსმენებთან. ამ შეხვედრაზე სოფლის ხელმძღვანელობა დაგვპირდა, რომ დაგვეხმარებოდა ფეხბურთის მოედნისა და ღია საცდაო სარბიელის მოწყობაში, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა".

იქნებ, ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ მაინც გაუწიონ ქმედითი დახმარება ლისელ სპორტის მოყვარულთ მცხეთის რაიონის სპორტის მუსკეთურებმა და ლისის სასოფლო საბჭომ.

სპორტული ბაზების უქონლობაზე ჩიეიან **ფახანურელი** ახალგაზრდები ა. ბიბილაშვილი, გ. წოკლაური, ე. ვეშაგური, გ. ფციაური, დ. ჩოხელი და სხვები (სულ 25 ხელმოწერა). ჩვენს სოფელშიო, გვწერენ ისინი, სოკოგებით მომრავლდა რესტორნები და სპორტული ბაზების მოწყობაზე არავის ფიქრობსო. ამის თაობაზე დღეისთვის რაიონულ გაზეთშიც გამოუქვეყნებიათ წერილი, მაგრამ იქ ფაქტს, რომ ფასანაურელი ახალგაზრდები სპორტული მოედნების ნაცვლად რესტორნებში ატარებენ თავისუფალ დროს, დღემდე არავინ აქცევს ყურადღებას.

ხელმძღვანელთა უყურადღებობით არიან განაწყენებული **ახალქალაქის რაიონის სოფელ გომაშონის** ქალაქელები და ჯაბაჯი: „სოფლის ახალგაზრდებმა გასწავლებით მივმართეთ საბჭოთა მეურნეობის პროფკავშირს ორგანიზაციას, რომ ჩვენთვის სპორტული ინვენტარი შეეძინა. მაგრამ პასუხის ღირსადაც არ ჩაგვთვლეს. მეურნეობის ხელმძღვანელები კი ეუბნებიან, რადგან ჩვენ, ახალგაზრდები, შრომით ფიქრობენ ვართ ჩაბმებულნი".

არ ვიცით გოგაშენელი ახალგაზრდების წერილში მოყვანილი ფაქტი რამდენად შეეფერება სინამდვილეს, მაგრამ თუ ასეა, მაშინ იგი უნდა გახდეს რაიონული პროფსაბჭოსა და რაიონის სპორტკომიტეტის მყრალოს საგანი, რადგან, როგორც ჩანს, მეურნეობაში ფიზკულტურული მუშაობისა და სპორტული ინვენტარისათვის გამოყოფილი თანხები არ იხარჯება დანიშნულებისამებრ.

აქვე არ შეგეძლია საგანგებოდ არ შეეჩერებით ერთ მტკივნეულ საკითხზე: ზემოთ აღენიშნეთ, რომ რედაქციის ფოსტას ათობით წერილი მოაქვს რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან. ახალგაზრდები შეელანა და დახმარებას ითხოვენ ჩვენგან. თავისთავად ცხადება კითხვა: რატომ მოგვმართავენ ზზალგაზრდები ჩვენ, ადგილობრივი თუ რაიონული ხელმძღვანელობის გვერდის ავლით? რაშია საქმე, არ ენდობიან მათ? ალბათ, რადგან ზოგჯერ ამა თუ იმ სოფლის ახალგაზრდების გასაჭირის შესახებ ხელმძღვანელები მხოლოდ შემდეგ შეელანა ჩვენს, ან უკეთეს (თუ უარესს) შემთხვევაში, როგორც ზემოხსენებული წერილებიდანაც ჩანს, იციან ამ გასაჭირის შესახებ და არაფერი ზეიმებს არ მიმართავენ. ახალგაზრდების ხელგატეხილობის და აქედან გამომდინარე უწყნობების მიზეზიც ალბათ ეს არის. და რა უნდა იყოს იმაზე დიდი უბედურება ხელმძღვანელისთვის, ვიდრე მისი არ სჯეროთ?

მოედანი სახლთან

სპრა ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის სექტემბრის ერთობლივ დადგენილებაში „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი აღმავლობის შესახებ" განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ გაშლას საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. ამის საპასუხოდ ჩვენი რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მთელ რიგ დასახლებებში გაჩნდა ცენტრული სპორტული ბაზები, რომლებიც სიამედოდ დგანან შრომელთა ჯანმრთელობის სამსახურში, თუმცა ყველგან გულისყურით როდი ეკიდებიან ამ საქმეს. მაგალითად, **ბაშურის მინის ტარის ქარხნის დასახლებაში** მცხოვრები 28 წლის გიორგი ლომიძე გვწერა:

„ჩვენს დასახლებას საკმაოდ დიდი ფართობი უკავია. ეს 237 ოჯახი ცხოვრობს. ჩვენ, ახალგაზრდები, ყოველ საღამოს ეტარებით ფეხბურთის მოედანზე, რომელსაც შეიძლას ხაშურის მინის ტარის ქარხანა უწევდა. ამ მოედანზე ქარხნის შიდასაკოლექტივო პირველობა და თასის გათამაშებაც ბევრჯერ გამართულა. სამწუხაროდ, ჩვენს მოედანზე რამდენიმე ხნის წინათ საერთო საცხოვრებელი ავშნეს და დასახლებაში სპორტული ცხოვრებაც ჩაქრა. ეს გვპირდებიან ახალ მოედანს მოგიწყობთო, მაგრამ რომდის?"

მართლაც და რომდის? ამ კითხვაზე პასუხს, ალბათ, ბაშური რაიონმასკომი, კომკავშირის რაიკომი და რაიონული სპორტკომიტეტი გაგვცემენ.

საცხოვრებელი ადგილების მიხედვით სპორტული ბაზების მოწყობის მხრივ არა მარტო პერიფერიაში, **თბილისიც** კი არის კარგად საქმე. ამ რამდენიმე ხნის წინათ ასეთ სურათს მოეწია გაეხდით. **დოლიძის ქუჩაზე** პატარები ფეხბურთის თამაშობდნენ. ბიუნები საოკარი ოსტატობით უელიდნენ გვერდს არა მარტო თავიანთ მეტოქეებს, არამედ... ბანქანების კარგა მოზრდილ ქარავანს. იქვე, შეა ხანს მატანებული მამაკაცი თავის შვილს „24"-ს რეცხავდა. და აი, პატარა მეკარემ ვერ შეძლო დარტყმის მოგერიება და ბერთი მანქანას მოხვდა. გაბრაზებულმა მანქანის პატრონმა ჩაარი და ვედრო დაადგა და ბურთს გამოეკიდა. პატარები ევედრებოდნენ ბურთი დაეგებინებინეთ, მან კი ჯიბის ტანა ამოიღო და მთელი ძალით ჩაცა ბურთს.

არ იფიქრით, ეს მოგონილი ამბავი იყოსო. თუ კი ერთხელ მაინც აივლით დოლიძის ქუჩაზე, თვალს შეაღლებთ მრავალსართულიან საერთო საცხოვრებლებს და მათ წინ განლაგებულ გარაჟებს, დარწმუნდებით, რომ ორკილომეტრის რაიონის სპორტულ ხელმძღვანელობასთან ერთად დოლიძის ქუჩის მცხოვრები საკუთარი მანქანების ბიდი უფრო ალელებით, ვიდრე ახალგაზრდობის ჯანმრთელობა, ამ ქუჩაზე ბოროს გასაგორებელი ერთი პატარა მოედანიც კი არ არის.

რაღაგანაც სიტყვა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით სპორტული ბაზების კეთილმოწყობაზე ჩამოვთქვით, გავიხსენეთ კიდევ ერთ მტკივნეულ ობიექტს. ვაკის **სტუდენტთა ქალაქში** 2 ათასზე მეტი სტუდენტი ცხოვრობს. აქაური ხელმძღვანელობა (მმართველი რ. მეტრონიძე) ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ ახალგაზრდებს ცხოვრებისა და დასვენების ნორმალური პირობები შეუქმნას. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში აქ მწყობრში ჩადგა ფეხბურთის სტადიონი, კალათბურთის მოედანი. ეს უყურადღებო კარგია, მაგრამ ხაშურის პერიოდში სტუდენტებელი ქალაქელები და ჯაბეტები „თამაშგარე მდგომარეობაში" აღმოჩნდებიან ხოლმე, ოადგან სტუდენტებში არ არის სპორტული დარბაზი. არა და ამ საქმის მოგვარება ადვილად შეიძლება, თუ ზემოდგომი ორგანოები გაიჩვენებან. საქმე ის არის, რომ სტუდენტებს ტერიტორიაზე ბევრი ქიმწვნენდისა და რეცხვის საამქროები იყო განლაგებული. ეს ობიექტები ახლა სხვაგან გადატანეს, შენობები კი დარჩა. მართალია, თბილისის სამაღლო დენტატორა სტუდენტებს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1982 წლის 29 თებერვლის განკარგულებით ი. ჭავჭავაძის გამზირზე გალატოს ტაბიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისა და ყიდმინის ქუჩის გაფართოებასთან დაკავშირებით სტუდენტების ტერიტორიაზე მყოფი ქიმწმენდისა და რეცხვის საამქროები და სველბე უნდა დანგრეულიყო, მაგრამ ვიდდა დრო და კეთილმოწყო გალატოინის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, გაფართოდა ყიდმინის ქუჩაც ისე, რომ აქ შენობებს ხელი არაფრისთვის და არაფისთვის შეუხლია. ახლა იგი მშვენიერ ელოდება. საქმიანი ადამიანების ხელში ყოფილ

ეროვნული ბიბლიოთეკა







რეპორტაჟი ცნობილია, საქართველოს ხუთგიდელებმა სპარტაკიადაზე მეოთხე ადგილი დაიკავეს. „ლელას“ მოსკოველი ფოტოკორესპონდენტის ა. სვერდლოვის ამ რეპორტაჟში თქვენ ხედავთ (მარცხნიდან): სტარტს იღებს ი. ბრაზჯალოვი; სროლის შედეგებს ამოწმებენ მსაჯები; ასპარეზობს დ. გრიგორი; ცეცხლის ხაზზე: პრიზიორთა დაჯილდოების ცერემონიალი.

კანონზომიერი დამარცხება

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ ტაძიონი. 18 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი) 1:2 (1:1).

თბილისი: ცურცია, დანელია, ჩივაძე, ცერცვაძე, ეგოა, ჯოხაძე, სვანაძე, სულაჯელიძე, გუცაევი (კაჟაია), ფორგიაშვილი (გოგოჭაური), შენგელაია.

მინსკი: ცურბაღო, ბოროვსკი, კურნენინი, ივანუშეიკი, შიშკინი (ლეშჩენკო), შიგანტოვიჩი, გოცმანოვი, რუმბუტისი, ალეინიკოვი, გუსინოვიჩი, სოკოლი (პუდიშევი).

მსაჯი ი. ხერგიანყო (ხარკოვი).

გაფრთხილეს ჩივაძე და ბოროვსკი.

სიცხის გამო თუ იყო, რომ თბილისელებმა თავიდანვე დენიც დაიწყეს თამაში და თანაბრად პირველი წუთებიდანვე გადაბარეს ინიციატივა მეტოქეს, იმ ფაქტმა, რომ ბლოროუსლებმა მეტი მოახერხეს ამ მატჩში — მეტ მორაობდნენ, უფრო აგრესიულად თამაშობდნენ — თვალსაჩინოდ გამოაკლისა მასპინძელთა ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარვეზი: თბილისის „დინამოს“ თითქმის ყველა ფეხბურთელის ფიზიკური მომზადების დონე ჩემპიონატის ამ ეტაპისთვის დაბალია. ერთადერთი, ვისაც საყვედურს ვერ ეტყვის კაცი, სოლაქველიძეა.

მერე და მერე, რა თქმა უნდა, მინსკელებსაც შეეტყოთ დაღლა, ამითაც დაკარგეს გადაკეთების სიზუსტე, მაგრამ გამძლეობაში საერთო უპირატესობამ მაინც თავისი ქნა. სტუმრებმა თბილისელთა კართან მეტი საგოლე მომენტები შექმნეს, ყურო გააზრებულადაც თამაშობდნენ და საერთოდ, უნდა გვეცოს გამბედაობა და ვალიართ: ეს მატჩი პირშივნიდან წავაგეთ. აჭეე მინდა ვთქვა ჩვენს კარში გასულ პირველ გოლზე და ჩვენი ახალგაზრდა მეკარის თამაშზეც, რომბუტისის დარტყმელი ბერით, თქმა არ უნდა, ასალები იყო, მაგრამ, ერთმა, თორემ დასანანმა გოლმა ასე არ უნდა გაგიტეხოს გული...იქიდან მოყოლებული ყურადღებას ზომაზე მეტად ნერვიულობდა, მიზეზი ელოდა მეტოქის თითოეულ დარტყმას. გაშვებულ გოლს მაინც აღარაფერი ემელება (ბოლოს და ბოლოს, რომელ, თუნდაც დიდ მეკარეს არ გაუშვია ჯერიოზული გოლებს?), საქმისთვის კი უფუოდ ღირს დაივიწყო ის ეპიზომი წყაში და შვიდად განაგრძო თამაში. ალბათ დამეთანხმება ახალბედა სპორტსმენი, რომ გრძნობების მთთოკვის სწავლა ამიდანვეა საჭირო.

პირველ გოლზე უკვე ვთქვით. სამასპინძლო ბორით მასპინძლებმა ტაიმის მიწურულს გაიტანეს. ფაქტიურად ეს იყო ერთადერთი გაელვება ამ მატჩში. რთულ ვითარებაში შეგვეძლია კარგად გაეროკვა და ლამაზად. ძლიერად და ზუსტად დარტყა —1:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში თბილისელებმა ერთხანს გაათანაბრეს თამაში, მაგრამ ეს იყო და ეს. მერე შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ორივე გუნდს ხელს აძლევდა თრი — თამაში დაწუხარდა, გაიფერფლდა. თუმცა 85-ე წუთზე თბილისელ მცველთა ყურადღების მოდუნებით მყისვე ისარგებლა გურინოვიჩმა — 2:1.

ორიოდე სიტყვა მასპინძელთა ტაქტიკაზე. მას შემდეგ, რაც ამჯობინა გადაც, რომ თბილისელები აცდენენ თამაშს მინდერის ცენტრში, საჭირო იყო ცვლილებები. ეს ცვლილებები მოხდა, მაგრამ მატჩის დასასრულამდე გაიჭედეული დარჩა ცაკვის როლი. ამ ახალგაზრდა ნაკეთილშობილარი ვერა და ვერ იპოვა თავისი ადგილი.

ი. გეგიაშვილი.

სურათზე: თბილისისა და მინსკის დინამოელთა განვლილი მატჩის მომენტი.

კ. ზანიძის ფოტო.

უმაღლესი ლიგა

14 ივლისს ეკიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ცალინდარული მატჩები:

„სპარტაკი“ — „ჩერნომორეცი“ 4:0

„ზენიტი“ — „ვახტიორი“ 0:2

„ნეფთჩი“ — „დალგიჩიცი“ 3:0

„უახთაკორი“ — „ლუკორი“ 0:1

ეკათამაშეების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 16 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომ.“	19	11	2	6	28—22	24
„დინ.“ მნ.	19	10	4	5	28—20	24
„დნეპრი“	19	9	5	5	33—21	23
„ფახთაქ.“	19	8	7	4	26—15	23
„ყაზაგრი.“	19	8	7	4	17—16	23
„სპარტაკი“	19	8	6	5	32—17	22
„ზენიტი“	19	8	6	5	23—18	22
„დინ.“ კ.	18	7	7	4	16—16	21
„შახტ.“	19	9	2	8	27—21	20
ცსკა	19	7	6	6	23—19	20
„არარატი“	19	8	3	8	19—26	19
„ნეფთჩი“	19	7	5	7	21—20	19
„მეტალ.“	18	7	3	8	22—25	17
„ტორ.“ მ.	19	5	7	7	16—21	17
„დინ.“ მ.	19	4	7	8	15—20	15
„დინ.“ თბ.	19	5	4	10	23—26	14
„ტორ.“ ქ.	19	2	7	10	12—27	11
„ნისტრუ“	19	2	2	15	11—42	6

II ლიგა

15 ივლისს ეკიმართა ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა ცალინდარული შეხვედრა ადგილობრივ „ჭიათურსა“ და მახარაძის „მერცხალს“ შორის.

თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.



როცა ასეთი მოწდომებაა...

ჭუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 18 ივლისი.

„ტრაქტორი“ (ჭუთაისი) — „ტრაქტორი“ (მოსკოვი) 3:1 (3:0).

ჭუთაისი: გაბელია, ქოსტავა, თევზაძე, ჭელიძე (ჭრიკიე), ტურტანიძე, თავაძე, კორძოლიძე, კვირაძე, შენგელაე, უგულავა (ვახანია). ჭიაბრაშვილი.

მოსკოვი: ჩანოვი, პრიგოდა, პავცოვი, ფუშკოვი (გალაბა). შავეიკო, პეტრენკო, პეტრაკოვი (ვახლიანევი), დოზმოროვი, ივანოვი, პოლუკაროვი, სოლოვიოვი.

მსაჯი ვ. ფუკი (მინსკი).

გაფრთხილეს პეტრაკოვი, ჭელიძე, ჭრიკიე.

დუბლიორები — 1:1. ჭუთაისელთაგან ბერით გამოვა თვალხეთაშვილი.

მოსკოვის თანაკლუბელებთან შეხვედრაში ამ მატჩის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ ქუთაისელ ფეხბურთელებს შეუძლიათ გაცილებით უკეთ ითამაშონ, თუკი მოინდომებენ. ყველა შემთხვევაში, როცა ვადარებთ მოსკოვის არმიელებთან დიდი ანგარიშით წაგებულ წინა მატჩს და 13 ივლისს ჩატარებულ შეხვედრას, შეგვიძლია კიდევ ერთხელ დარწმუნებით ვთქვათ, რომ არმიელებთან ქუთაისელებმა არ გამოიჩინეს საკმარი მობილიზება და ყოველად გაუმართლებელი ანგარიშით წააგეს, შემდეგ კი მოინდომეს, ნებისყოფის სიმტკიცე გამოავლინეს და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვეს.

ცსკა-სთან მარცხის შემდეგ ქუთაისის სპორტმოტტრახა და თვით გუნდის სართო კრებაზეც ეს ამბავი განიხილეს როგორც საგანგებო მნიშვნელობის მოვლენა. მკაცრად მოეთხოვეს ფეხბურთელებს და აღნიშნეს, რომ პოზიციების დათმობა მაშინ, როცა გუნდმა გამოასწორა თამაში, ბოლო 9 მატჩში აიღო 9 ქულა, ე. ი. შესაძლებლობის 50 პროცენტი, ყოვლად დაუშვებელია.

ეტყობა, მოღებულმა ღონისძიებამ დადებითი გავლენა მოახდინა გუნდზე. მოსკოვის ავტორიტეტთან მატჩში არ მოსწყენიათ ქუთაისელებს, ვინაიდან მას 2 გაფრთხილება ჰქონდა, გუნდის ხელმძღვანელობამ მინდორზე არ გამოიყვანა ჭილაი.

ქუთაისელ ფეხბურთელთაგან არ გვინდა ვინმე საგანგებოდ გამოვყოთ, ეინაიდან ყველამ თავგამოდებით, მთელი შესაძლებლობით იბრძოლა, მაგრამ მაინც გვინდა აღვნიშნოთ ის დიდი, შრომატევადი სამუშაო, რომელიც გასწია თევზაძემ, გვინდა ხაზი გავუსვათ გაბელიას მაღალ ოსტატობას, კორძოლიძის, ქოსტავას, თავაძისა და სხვათა ენერგიულ თამაშს.

მატჩის დასაწყისში ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა მიეცა პეტრაკოვს, რომელმაც კარიდან სულ რამდენიმე მეტრის დაცილებით მიიღო ბურთი, მაგრამ ვერ გამოიყენა ეს შანსი. სამაგიეროდ, მე-10 წუთზე სტუმრების კარში დარტყა თავაძემ, ბურთი მოხვდა ერთ-ერთ მცველს, შეიცვალა მიმართულება თევზაძისკენ, რომელმაც ბუსკოვი გაგზავნა იგი ბადეში — 1:0.

ამის შემდეგ გაბელიას ძალზე ხშირი ბურთების მოგერიება მოუხდა ივანოვისა და პატრაკოვისგან, 28-ე წუთზე კი თავადის გადაცემა კარგად გამოიყენა ჭიაბრაშვილმა და თავით გაატანა მეორე გოლი.

ამ პერიოდში მოსკოველთა კარი განუწყვეტელ იერიშებს განიცდიდა. ჭუთაისელები თამაშობდნენ დიდი შეგრძნებით, კოლექტიურად. მოსკოველთა მცველები ზმირად იბნეოდნენ, 32-ე წუთზე მეგრელაძემ დრიბლინგით ჯარა გვერდი რამდენიმე მეტრიც და მესამედ აიღო ჩანოვის კარი.

შესანიშნავად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლებმა შესვენების მერე რამდენადმე მოუკლეს ტემპს, ამას გარდა, მოსკოველებმა მთელი თავიანთი ძალები ჩართეს შეტევაში და 48-ე წუთზე ჭელიძის უხეში თამაშისთვის „დაინიშნა პენალტი. დარტყმა ზუსტად შეასრულა პეტრაკოვმა — 1:3.

მოსკოველები თითქმის. მთელი ტაიმი უტევდნენ მეტოქეს კარს, მასპინძლები მხოლოდ ეპიზოდური კონტრიერიშებით პასუხობდნენ. დიდი დატვირთვა დაეწვათ მასპინძლთა მცველებსა და მეკარეს. მაგრამ ქუთაისელებმა საბოლოოდ წარმატებით გაართვეს თავი სიძნელეებს და ღირსეული გამარჯვება მოიპოვეს.

ბ. ნამოიშვილი.

(ტელეფოტოთ, „ლელას“ კორ.).

მიმდინარეობს ცურვის კვირეული

ამ დღეებში ჩვენი ვალია: მაქსიმალურად გამოვიყენოთ ხელსაყრელი მომენტი—შევასწავლოთ ნორჩებს ცურვა, ფართოდ ჩავაბათ მოსახლეობა მასობრივ შეჯიბრებებში!

სპარტაკიადაზე იასპარეზებენ



ჟველა მეძალი მრთის გარდა

კალაძეური სტილის მოჭიდავის (54 კგ-მდე) თბილისელი ვახტანგ ბლაგიძის ჭიდაობაში გამარჯვებები ოლიმპიადა-80, მსოფლიოს, ევროპის, სსრ კავშირის ჩემპიონატებზე, მსოფლიო თასზე, მისი სპორტული ვილდობის კოლექციას მხოლოდ ერთი მედალი აკლია — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის „ოქრო".

ეს სპარტაკიადა ბლაგიძისთვის რიგით მესამეა: 1975 წელს იგი მე-6 იყო, 4 წლის წინათ ვახტანგი მოსკოვში ჩამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულით, იგი საქართველოს მოჭიდაეთა ნაკრების ლიდერი გახლდათ. სპორტსმენს დიდი სურვილი ჰქონდა დაემტკიცებინა, რომ საერთაშორისო სარბიელზე შემთხვევით არ მოიღწევია წარმატებისთვის. სპეციალისტები მას გამარჯვების უფრო სწარმატევებლად თვლიდნენ, მაგრამ ვახტანგს ამჯერად არ გაუმართლა — შეჯიბრების წინ შეიძლება გახდა, ტემპერატურამ ვიწრო. მწვრთნელებმა და ექიმებმა ატკრძალეს ასპარეზობა, მაგრამ ბიჭი ისე განრისხდა, რომ სპორტსმენს ოპერაცია გაუკეთეს.

— ახლა სავსებით გამოვჯანმრთელდი, — თქვა ვახტანგმა. — საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მზადების მთელი ციკლი გავიარე. ჩვენს გუნდში კარგმა ბიჭებმა მოიყარეს თავი, ყველა მთელი ძალით ეკრძალებოდა. ჩვენი ნაკრები ერთ-ერთი ტიტულოვანი იქნება სპარტაკიადაზე, წარმატების დიდი შანსი აქვთ მსოფლიო ჩემპიონებს თქმრო ყახურაშვილს (48 კგ-მდე), თქმრო ონხოზაეს (82), მიხეილ სალუქვს (100). სხვა წონებშიც ბევრი საინტერესო მოჭიდავე გვყავს.

ოლიმპიური ჩემპიონის აზრით, ქართველ „კლასიკოსებს" ძალუძთ VIII სპარტაკიადაზე გუნდური წარმატებისთვის ებრძოლონ.

(ხაზები).

ლად გაეიდა ფინალში, სადაც უნდა შეხვედროდა მასპინძელთა გუნდს. ვახტანგის მეტოქე იყო მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე ლაიშ რაცი, რომელიც ქართველმა სპორტსმენმა ადრე, მოსკოვის ოლიმპიადაზე დამარცხა. ბლაგიძემ ამჯერადაც თავიდან დაიბრა მეტოქის ელეგანტის ჯასკადით. მეორე წუთზე იგი წინ იყო — 11:0. ის იყო ვახტანგმა მეტოქე ლეიფთ დაიჭირა, რომ ამ დროს ძლიერი ტკეპნილი ოგრძნო მარჯვენა მხარში. დარჩენილ დროში ვახტანგი ფაქტიურად ცალი ხელით იბრძოდა, მაგრამ გამარჯვება მაინც ის დათმო. ტრავმა იმდენად სერიოზული გამოდგა, რომ სპორტსმენს ოპერაცია გაუკეთეს.

— ახლა სავსებით გამოვჯანმრთელდი, — თქვა ვახტანგმა. — საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მზადების მთელი ციკლი გავიარე. ჩვენს გუნდში კარგმა ბიჭებმა მოიყარეს თავი, ყველა მთელი ძალით ეკრძალებოდა. ჩვენი ნაკრები ერთ-ერთი ტიტულოვანი იქნება სპარტაკიადაზე, წარმატების დიდი შანსი აქვთ მსოფლიო ჩემპიონებს თქმრო ყახურაშვილს (48 კგ-მდე), თქმრო ონხოზაეს (82), მიხეილ სალუქვს (100). სხვა წონებშიც ბევრი საინტერესო მოჭიდავე გვყავს.

ოლიმპიური ჩემპიონის აზრით, ქართველ „კლასიკოსებს" ძალუძთ VIII სპარტაკიადაზე გუნდური წარმატებისთვის ებრძოლონ.

(ხაზები).

● მძლეოსნობა

ვილნიუსის სტარტები

ლიტვის დედაქალაქში დამთავრდა მოზარდ-მძლეოსანთა საკავშირო პირველობა (მონაწილეთა ასაკი 17 წლამდე), სადაც რამდენიმე მაღალი შედეგი აღინიშნა.

გოგონათა შორის 100 მეტრზე რბენაში ყველას კოლომნელმა ე. ფიოდოროვამ აჯობა — 11,56, 200 მეტრზე კი უძლიერესი იყო მაიკოპელი ვ. ბოკინა—23,61, 400 მეტრზე თარჯიებში თავი ისახელა ლენინგრადელმა მ. მირონოვამ — 58,58, ხოლო 100 მეტრზე—ტ. სტეპანოვამ პავლოგრადიდან — 13,91, სიგრძეზე ტრიპლში ნოვოკუზნეცკელმა ნ. შეჩენკომ 6 მ 68 სმ დაძლია, ხოლო ლენინგრადელი ე. ტოპჩინა 1,86 მ სიმაღლის თამასს გადაეკვეთ. შეიდნიში 5 გოგონამ შეასრულა სპორტის ოსტატის მოთხოვნები, კვარცხლებიის უმაღლეს საფეხურზე კი სმოლენსკელი ვ. პოლიაკოვა დადგა — 5,649 ქულა.

ასპარეზობაზე ყველას ყურადღება მიიპყრო 2-მეტრიანი გოგანტის, თბილისელი **თ. ბიწაძის** გამოსვლამ. ქართველმა ჯაბუკამ ბაბრო 59,82 მეტრზე ტყორცნა, ხოლო ბირთვი 18,42 მ-ზე გაგზავნა. ერთ ტყორცნაში ყველა ჯობა დოშანბეთლა ა. ახუთველიევა — 69,42 მ. შუბის ტყორცნაში — 69,84 მ. სიგრძეზე ხტომაში—ტაშკენტელმა ა. ივიცკამ — 7,39 მ.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს „ტუღის" წარმომადგენლებმა.

● ფრენბურთი

გაიმარჯვეს სტუმრებმა

ჩვენს ქვეყანაში ტრადიციულ ამხანაგურ ტურნეს ატარებს იაპონიის ფრენბურთელ ქალთა გუნდი, რომელმაც მეორე მატჩი მოუგო საბჭოთა ნაკრებს—3:1(15:10, 16:14, 12:15, 16:14).

საინტერესოა, რომ სტუმართა გუნდის საშუალო სიმაღლეა 175 სმ, ხოლო ჩვენი ნაკრებისა —181 სმ. საბჭოთა ფრენბურთელთა უფროსი მწვრთნელის ვ. პატკინის აზრით იაპონელ ფრენბურთელ ქალთა თამაშის სტილი დიდად უახლოვდება ევროპისას, მათს არსენალში უძლიერესი, მრავალფეროვანი, მოულოდნელი დარტყმები.

იაპონელ და საბჭოთა ფრენბურთელთა მორიგი 3 შეხვედრა გაიმართება ოდესაში.

ზენიტელების ნარმატება

ამ დღეებში ლენინგრადში (მოსკოვის ოლე) დამთავრდა „ზენიტის" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა მძლეოსნობაში 1966-67 წ.წ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის. ამ შეჯიბრებაში საკმაო წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები.

პირველად მოიპოვეს ჩემპიონობა ოლგა მიხელიძემ 400 მეტრზე რბენაში—56,1, ელენე პოპიჟენამ — 400 მ თარჯიებში —1.02,5 და ნანა მესხმა, რომელმაც გაიმარჯვა ბირთვის ცრაში —41,44 მ. სპეციალისტების მეორე სიფრენრზე ავიდა შვიდჭიდელი ხათუნა სპირინა.

ამ შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს ნაკრები გუნდი მოზარდთა შორის პირად-გუნდურ პირველობაში მონაწილეობისთვის, რომელიც 8-11 ივლისს გაიმართა ვილნიუსში. სამიეი სპორტსმენი ჩაირიცხა გუნდში.

დ ა ი, კვლავ სასიხარულო ცნობა: ოლგა მიხელიძემ წარმატებით (ფინალში გავიდა) ისპარეზა 400 მ რბენაში, ხოლო 4X400 მეტრზე ესტაფეტაში საზოგადოების ცენტრალური საბჭოს ნაკრების სხვა წევრებთან ერთად საკვირაო პელეობის მესამე პრიზიორი გახდა

ვ. ჩუბინი.

შეიქმნა რუბიკის ფონდი

ცნობილია უნგრელმა ინჟინერმა ე. რუბიკმა გამოიცადა, რომ ეგი სახელმწიფოს გადასცემს 7 მილიონ ფორინტს. ეს იმ თანხის ნაწილია, რომელიც გამომგონებელს ეკუთვნის პოპულარული კუბიკის რეალიზაციის შემთხვევაში. თანხა განკუთვნილია უნგრელი მოქალაქეების მიერ გამოგონებათა ხარისხის დასაფარავად, ავტორთათვის პრემიების გასაცემად და ა. შ.

ორიოდე სიტყვა თვით ე. რუბიკზე: იგი კვლავ მუშაობს ბუდაპეშტის დეკორაციული და გამოყენებითი ხელოვნების ინსტიტუტში დოცენტად. მიმდინარე წელს გამომგონებელს მიანიჭეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია. საინტერესოა, რომ მთელს მსოფლიოში უკვე გაიყიდა რუბიკის 100-120 მილიონი კუბიკი.

რედაქტორი ა. გასილაია.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ფიზიკური მომრაობის მართვის ორგანიზაციის კათედრის დოცენტის 0, 5 განაკვეთზე (სპორტში გამოცდილი ტრენერის სპეციალობით).

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში, ყოველდღე 9 საათსა და 30 წუთიდან 17 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართია: თბილისი — 380062,

ი. ჭავჭავაძის პროსპექტი №49. ტელეფონები: 22-31-60, 23-09-02.

● ცურვა

ლოს—ანჯელესის აუზში

ოლიმპიურმა და მსოფლიოს მრავალჯერმა ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ვლადიმერ სალნიკოვმა მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა ოლიმპიადა —84-ის დელეგაციის შემადგენლობაში ლოს-ანჯელესის საცურაო აუზში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე. 800-მეტრიანი დისტანცია თავისუფალი სტილით მან 7 წუთსა და 52,33 წამში გაიცურა, რითაც 0,5 წამით გაუმჯობესა თავისივე უმაღლესი „მიდწევა.

● შაში

დარჩა 2 ტური

ამხანაგობრივ გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი ასურიან შაშში. XI ტურში ვირსმან შაშმა ჭოლთ ჭიკოზე — ჯაბანანი, ე. ვან დერ ვალმა — ბალაკინი. ვირნოვა და კლერკის შეხვედრა ჯიმთ დასრულდა.

XII ტურში ყიმითი დამთავრდა ვირსმანა და ვირნოვ, ვანდენბერგისა და ვან დერ ვალის, კაპანისა და ბალაკინის შეხვედრები. კლერკმა დაამარცხა ჭიკო.

შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტურით ადრე 8 ქულით ლიდერობს ვირსმა. მას ნაბიჯით ჭოლთ ჩამორჩება ვირნოვი. 7-7 ქულა დააგროვეს ვანდენბერგმა და კლერკმა.



ტრასებზე—კარტინგები

დღეს, 12 საათზე, საქართველოს დოსაფის რესპუბლიკურ ავტო-მოტოსპორტის სარბოლო ტრასაზე (თბილის-რუსთავის გზატკეცილის 21-ე კილომეტრი) იწყება სსრ კავშირის პირველობა ჰაბოკთა შორის კარტინგში.

ასპარეზობის მონაწილეებში ერთმანეთს პირველობას შეეცდებიან კარტინგის 2 კლასში — „პიონერის კლასში" და საკვეშირო კლასში „ც-2". სტარტზე გამოვლენ ყველა მოკვეშირე რესპუბლიკის ჰაბოკთა ნაკრები გუნდები. შეჯიბრება ორ დღეს გასტანს.

ბაზრის სპორტკომპლექსი იუწყება, რომ გარდაიცვალა ბათუმის ბავშვთა სპორტული თამაშების სპორტსკოლის დირექტორი

ოთარ ჯილერიანის ძე ახალიანი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კპ ც.კ.ის ბაზრების ენითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოსსტატური წესით. ბა. ბაზეთი კორპუსში, ხოვარაულის, 29. ინდექს 66435

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17

უე 07639